საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5474/01
02/06/2021

5474-01-2-202106021256

შპს ,,ინერტული მასალების კომბინატს"
მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზირი, №44, ბინა №25

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 17 მაისის N8447 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა სიმონეთში ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამახარისხებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საწარმოს მოწყობის საკითხი, რადგან სკრინინგის განცხადებაში პროექტთან მიმართებით საუბარია, როგორც მოწყობილ, ასევე დაგეგმილ საქმიანობასთან მიმართებით;
- საპროექტო ტერიტორია არსებული მონაცემებით წარმოადგენს მდ. ყვირილას კალაპოტს, თუმცა სკრინინგის განცხადებაში არ არის გათვალისწინებული მდინარის კალაპოტური პროცესების ზემოქმედება საწარმოზე, კალაპოტურ პროცესებთან დაკავშირებული რისკები. ასევე არ არის წარმოდგენილი ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ როგორც სახიფათო ასევე არასახიფათო ნარჩენები კანონმდებლობის სრული დაცვით განთავსდება შესაბამის ურნებში, დროებით დასაწყობდება და შემდგომში მართვისათვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს. GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მთლიანად მოქცეულია მდ. ყვირილას წყალდაცვით ზოლში, ამასთან "წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილების თანახმად, მდინარის წყალდაცვით ზოლში აკრძალულია სხვადასხვაგვარი საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენების შენახვა - დაგროვება, დასაწყობება ან დამარხვა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- ინფორმაცია ,,წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის თაობაზე;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება უკვე მომხდარია, ამასთან აღნიშნულია, რომ საწარმო მოეწყო ტერიტორიაზე, სადაც არ არსებობდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის საწარმოს წყალმომარაგების შესახებ, ასევე სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 800 მეტრში, თუმცა მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 300 მეტრში შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სალექარში დალექილი შლამის შემდგომი მართვის საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე